



რვაენი

ფრეოზა

NOTRE DRAPEAU'

832

1967

დაარსებულია ნოე შოკლაძის მიერ.

N° 45

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სიმონ მდივანი.

მ. იმნაიშვილი—ლენინი და საქართველო.

ბ. ზარჯველაძე—საქართველოს კომპარტიის ყრილობა.

დამსწრე—შ. რუსთაველის იუბილე პარიზში.

პარტიული კონფერენცია.

ამირანი—გ. ყიფიანის ლექსები 1965 წ.

გ. წერეთელი—აკაკი კვიციანიშვილის ხსოვნას.

X.—ხმა გამცემლისა და სხვ.

პარიზი.

თებერვალი.

Paris.

1967

## სიმონ მღივანი

(გარდაცვალების 30 წლისთავზე)

30 წელია რაც უცხოეთის მიწას მივბარა საქართველოს თავისუფლების ერთი მიმრქმელთაგანი, ადამიანი, რომელმაც საკუთარი ბედი და მომავალი თავის სამშობლოს ბედსათუ უბედობას დაუკავშირა. ახალგაზდობიდანვე ვიდრე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აღზნებული სიყვარულით ემსახურა საკუთარ ქვეყანას... გაუტყეხელი ოპტიმისტი, ჭირსა და გაჭივრებაში იმედის მომცემი, მუდამ მხნე და ხალისიანი, თავმდაბალი და მტკიცე ნებისყოფით ღალხის სამსახურში ჩამდგარი; მტრისა და მოღალატეების მიმართ შეუდრეკი მებრძოლი; მოყვრისა და მეგობრისთვის მოყვასი და დამხმარე. საქართველოს სოც.-დემ. პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელთაგანმა სტუდენტობის ხანაში დაიმსახურა მაშინდელი რუსეთის მთავრობის რისხვა და დევნა, ხოლო მაშინდელ პროგრესულ ძალებში ყურადღება და პატივისცემა...

სამშობლოში დაბრუნებული იგი ეძებს ლეგალურ გზებს და საშუალებებს, ახალგაზდული ენერგიით უდგება სათავეში ბათუმში ქართულ დაწესებულებებს. ნიჭიერი ორგანიზატორი არ კმაყოფილდება მარტო პრაქტიკული საქმიანობით, — სიმონი ხელში იმარჯვებს კალამს «სადაც ხმალი არ სჭრის იქ კალამი უნდა გაიღვას»... აზრი ამუშავდეს, ხალხი დაიორაზმოს — ამიტომაც სიმონი რედაქტორობს, ყოველდღიურ გაზეთს. — სადაც აშკარადება მისი გამჭრიახი გონება და მკრელი სიტყვა... როცა საქართველოს ეროვნული თავისუფლების ზარმა ჩამორეკა — სიმონი ქართულ სახელმწიფოს მშენებელთა მოწინავე რიგებშია, — საქართველოს ეროვნული საბჭოს, — შემდეგ პარლამენტის წევრი, ელჩი თავისუფალ სომხეთში. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ოსმალეთში. ყველგან და ყველა პოსტებზე დიდი სახელმწიფო ნიჭიერებით თავაზიანობით, თავდადებით, დარბაისლ ობთ და სიმტკიცით იცავს საქართველოს უფლებას...

დგება შავი დღეები, სისხლიანი თებერვალი, უცხოეთში გადმოხიზნული სიმონი რჩება ისეთივე გაუტყეხი ოპტიმისტი და იმედიანი. ის დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს მშობელი ერის გულის ცემას, მის მისწრაფებებს; მის სურვილებს. მისი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა შეუწყვეტელი, დაუდგრომელი მოქმედებით, სიმონი ხდება ჩაგრულ ერთა ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო წევრი, მის სიტყვას ისმენენ, მის დარიგებას ანგარიშს უწევენ და მისი ხელმძღვანელობენ. სიმონი იყო მოსიყვარულე, დამრიგებელი,



მფარველი და სულიერი მამა ახალგაზდობის... ახსოვს ზოგიერთს—დღეს ხანდაზმულებს მისი პატრიოტული აღზნებით ომანიანი—შემოძახება, მასთან გაწეული საუბრები ჩვენი ერის წარსულზე და მომავალზე...

ეს მცირე მოგონება დღეს ძალას გვმატებს, სიმონის ლა. მანდი და მრავალფეროვანი, ბრძოლით განვლილი ცხოვრება—დღესაც გვეხმარება, სულიერ მწუხარებას გვიმსუბუქებს და ბრძოლისკენ და თავდადებისკენ მოგვიწოდებს.

## ლენინი და საქართველო.

(პრფ. ვ. ეხაიაშვილის მიერ ლენინის დაბადების  
98-ე წლისთავზე გაზეთ «კომუნისტ»-ში  
შეცემული წერილის გამო).

როცა უთანასწორო ომში თავისუფალი დამოუკიდებელი საქართველო წაიქცა, ქართველი პატრიოტებისათვის ბრძოლა ამით არ გათავებულა, პირიქით, მათთვის ნამდვილი ბრძოლა სწორედ მაშინ დაიწყო და ერის ხელმძღვანელობა, მისი მთავრობა კიდევ გაიხიზნა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დავალებით, საზღვარგარეთ, რომ იქიდან გაეწია მუშაობა სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ქართველმა კომუნისტებმა კი, რომლებიც უცხო დამპყრობ ძალას საქართველოში შემოყვეს, ამ დამპყრობელთა ხელიდან მიიღეს სახელმწიფო ძალაუფლება, რომლის ფორმა თვით შემოქრილმა უცხო ძალამ განსაზღვრა. გადმოიტანა საქართველოში ადამიანის და ერის ჩაგვრანზე აგებული ტერორისტული რეჟიმი.

საქართველოს დაპყრობას მოჰყვა ქართველი «უკლონისტების» მოკლე ხანა. ეს უკანასკნელები ფიქრობდნენ ხალხის გულის მოგებას მოხვედრითი «დამოუკიდებელი ნაციონალური» პოლიტიკის წარშობებით. მაგრამ ქართველი ხალხი, ცხადია, ვერ გაყვებოდა იმ პირებს, რომლებიც მოლაღატის სამარცხვინო დაღს ატარებდნენ და უცხო ძალის ნების ამსრულებლები იყვნენ და ასე უნდა დარჩენილიყვნენ ბოლომდის. ამიტომ ისინი, სავსებით გარიყულნი გახდნენ, ამბების ლოგიკური განვითარებით, მსხვერპლი მათივე პროტექტორის, რომლის ხიშტებზე საქართველოში შემოვიდნენ.

ეს «უკლონისტური» ეპიზოდი ქართველ კომუნისტ ხელმძღვანელებს სრულყოფით შიავიწყაათ, მაშინ როდესაც თვით ქართველ ხალხში ოკუპანტების მიმართ წინააღმდეგობის სულისკვეთება ცოცხალია. ისინი ცდილობენ, პირიქით, გაამაგრონ ცენტრალური ხელისუფლება, რისთვისაც რაღაც მათ შორის განაწილებულია. ზოგიერთები მთვან, როგორც მაგ. ფ. ლომაშვილი, ებრძვიან ქართველ ეროვნულ ემიგრაც-

ციას, აძაგებენ და ცილს სწამებენ საქართველოს ეროვნულ მთავრობას და საქართველოს განთავისუფლებისათვის თავდადებულად მებრძოლ პატრიოტებს... ვის სჯირდება ყველაფერი ეს, საქართველოს დაპყრობის 45 წლის შემდეგ. გარდა მოსკოვისა და მისი ქართველი დამქაშებისა, რომელთაც სურთ აღმოფხვრან ქართველი ხალხის გულიდან თავისუფლების მისწრაფებები იმით, რომ ცდილობენ შეაძულონ მას საქართველოს სახელმწიფოებრივი განახლების და თავისუფლების ბრწყინვალე დრო და ის პირები, ვინც ეს თავისუფლება განახორციელა. ლომაშვილის საძაგელი პამფლეტი სწორედ ამ მიზნით არის დაწერილი, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურებიან მოსკოვის ქართველი ფინიები.

მაშინ როდესაც ფ. ლომაშვილი სახელს უტეხს ეროვნულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ფიქრობს დაარღვიოს და გახრწნას ქართული ეროვნული ემიგრაცია და შეაძულოს მას საქართველოს ნაციონალური მთავრობა, მეორე კომუნისტი კალმოსანი ვ. ესაიაშვილი გუნდრუქს უკმევს ლენინის და ცდილობს შეაყვაროს ის ქართველ მკითხველს იმით, რომ თავის წერილში «ვ. ი. ლენინი და ქართველი ინტელიგენცია» გამოჰყავს ის ქართველი ხალხის და ქართველი ინტელიგენციის «დიდ შოამაგედ» და ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ განმათავისუფლებლად. ვ. ესაიაშვილი წერს ლენინის როლზე კომუნისტების ბრძოლაში ქართველი ხალხის და ინტელიგენციის წინააღმდეგ. ვ. ესაიაშვილის აზრით, ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას იჩენდა ქართველი ინტელიგენციის მიმართ, რომლის შეუზღოვრობაში ჩასაბმელად ის ქართველ კომუნისტებს მითითებებს ანუ ბრძანებებს აძლევდა, როგორც, მაგალითად, «აუცილებელია ქართველი ინტელიგენციის... მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა»; ან: «მეტი სიბრძნე, სიფრთხილე და დაშთმობლობა... ინტელიგენციის მიმართ». «ლენინის მიერ... მოცემული მითითება ქართველი ინტელიგენციისადმი ლმობიერი, დათმობითი დამოკიდებულების შესახებ,—წერს ვ. ესაიაშვილი,—გაისმა როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია. იგი გადაიქცა საქართველოს კომპარტიის ოფიციალურ პოლიტიკად».

ვ. ესაიაშვილი ისე მოგვაჩვენებს ამ საქმეს, თითქოს ლენინი ამ ბრძანებათა გაცემის დროს შეწუხებული იყო მხოლოდ საქართველოს კომუნისტური სახელმწიფოს და მეურნეობის ბედით. რასაკვირველია, ლენინმა კარგად იცოდა, რომ ქართველ კომუნისტებს მრავალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრაში სრულებით არ გამოადგებოდათ საქართველოს დამპყრობი წითელი ჯარები, რომლებიც დარჩენ თბილისში კომუნისტური ხელისუფლების უზრუნველსაყოფად, არამედ მათ ამისათვის სჯირდებოდათ

ქართული ძალები, ქართველი მშრომელები და ქართველი ინტელიგენცია. ეს ცხადია. მაგრამ ლენინისათვის, როდესაც ის ქართველ კომუნისტებს ბრძანებებს აძლევდა ქართველი ინტელიგენციის შესახებ, უფრო აფიქრებდა ის გარემოება, რომ საქართველოს დაპყრობამ სამშოთა რუსეთის მიერ გამოიწვია უცხოეთში უკიდურესი აღშფოთება და ენერგიული პროტესტები. ევროპის ყველა პოლიტიკური პარტია, გარდა, რასაკვირველია, კომუნისტებისა, განსაკუთრებით სოციალისტური პარტიები, მუშათა მოძრაობა, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, პარლამენტები, ნაციონალიზმი, რომელიც ბისათვის საქართველოს დაპყრობა აშკარა იმპერიალისტური აქტი იყო, მოითხოვდნენ საბჭოთა ჯარების გაყვანას საქართველოდან და იქ მოავალი სახელმწიფოს და თვით ლენინის მთავრობის მიერ დე-იურე ცნობილი ნოე უორდანიას სოციალისტური მთავრობის დაბრუნებას. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო და მისი სოციალისტური მთავრობა დიდად პოპულარული იყვნენ ევროპის მუშათა ორგანიზაციებსა და სოციალისტურ პარტიებში, რომელთა გამოჩენილი წარმომადგენლები პირადად დარწმუნდნენ იმაში, რომ საქართველოში შენდებოდა ჭეშმარიტი დემოკრატიული სახელმწიფო და ქართველი ხალხი იყო თავის მთავრობასთან ერთსულოვანი და თავისი ბედით კმაყოფილი.

ამასთან უცხოეთის საზოგადოებრივ აზრს და მუშათა და სოციალისტურ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული ინტელიგენციის ბედი რუსეთში, სადაც ის წოდებრივი სიძულვილის ნიადაგზე და ბოლშევიკების წაქეზებით მეტ ნაწილად იქნა ამოწყვეტილი. ამიტომ ევროპაში სამართლიანად შიშობდნენ, რომ ქართველი ინტელიგენციაც რუსის ბედს გაიზიარებდა. ცნობები ამას ადასტურებდა. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ლენინი რამდენადმე კიდევ ანგარიშს უწევდა უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის, მუშათა ორგანიზაციების და სოციალისტური პარტიების განწყობილებას ამ ხელისუფლებისადმი და ერიდებოდა ყველაფერს, რასაც შეეძლო შეეღება ბოლშევიკების პრესტიჟი უცხოეთის თვალში. ქართველი ინტელიგენციისადმი ცუდი მოპყრობა შეიძლება გამხდარიყო ამ პრესტიჟისათვის საზიანო და უფრო ამის თავიდან ასაცილებლად ლენინმა გაუგზავნა ქართველ ბოლშევიკებს თავისი «მითითებები». ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ მან მოსთხოვა მათ «სირბილე და ლმობიერება», რაც ჩვეულებრივად ხდება მაშინ, როცა საქმე დასჯას თუ შურისძიებას ეხება. როგორ შეასრულეს ქართველმა ბოლშევიკებმა ლენინის ბრძანებები? მათ სწორედ შური იძიეს.

«საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და თანაც ძლიერი იყო ინტელიგენცია, — წერს ვ. ესაიაშვილი: — მაგრამ ამავე დროს საგრძნობი ხვედრითი წონა ჰქონდა დემოკრატი-

ულ ინტელიგენციას. ქართველი ინტელიგენციის ერთი დიდი ნაწილი, ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული წრიდან გამოსული, სკეპტიკურად უყურებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ზოგიკი აშკარად თანაუგრძნობდა ანტი საბჭოთა პარტიებს და ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა.

ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეთა პროგრესული ნაწილი, სახალხო განათლების მუშაკთა დიდი ნაწილი, ტექნიკური ინტელიგენციის უმეტესობა, დემოკრატიული და პროლეტარული წრიდან გამოსული, განსაკუთრებით კი რევოლუციური ინტელიგენცია თავიდანვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე და აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში... აქ ვ. ესაიაშვილი ძლიერ მოწადინებულია შექმნას მკითხველში შთაბეჭდილება, თითქოს ბოლშევიკებს მიყვებოდა ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მაგრამ მთელი ქართველი ინტელიგენცია, გარდა თითო-ორთა გზადაბნეულისა, სწორედ სკეპტიკურად უყურებდა საბჭოთა ხელისუფლებას და არ თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს, მიუხედავად მათი ხვეწნა-მუდარისა და ამნისტიისა. აკი თვითონ ვ. ესაიაშვილი შემდეგ წერს: «1924 წლის შემოდგომიდან ერთბაშად მომსკდარ ტალღასავით წამოვიდა ინტელიგენციის ზედა ფენების სულ სხვადასხვა პროფესიის პირთა განცხადებები, დეკლარაციები, რომლებსაც ხელს აწერდნენ ჯგუფურად და ინდივიდუალურად, ფიცსა დებდნენ, რომ მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას მოახმარდნენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს».

ვ. ესაიაშვილი მუდამ ლაპარაკობს პროგრესულსა და რევოლუციურ ინტელიგენციაზე, მაგრამ ნამდვილი პროგრესული და რევოლუციური ინტელიგენცია იყო ის, რომელიც აქტიურად ჩაბმული იყო დამოუკიდებელი საქართველოს შექმნასა და მის დაცვაში იარაღით ხელში. ეს იყო ნამდვილი რევოლუციური ინტელიგენცია, ვინაიდან ის უშუალოდ მონაწილეობას იღებდა ქართულ რევოლუციაში, საქართველოს და რუსეთს შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის ნიჟარაზე, ახალი ურთიერთობის შექმნაში, საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებაში. საქართველოს დაპყრობით ბოლშევიკებმა ისევ აღადგინეს ძველი ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, დაუმორჩილეს საქართველო რუსეთს, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო ცუდ პირობებში. ამით, ამ ქართული რევოლუციის დამარცხებით მათ ეროვნული და ყველა სხვა თვალსაზრისით ითამაშეს უადრესად რეაქციული როლი. ამ საქმეში ქართველი პოლიტიკური, ე. ი. ეროვნულად მებრძოლი ინტელიგენცია და თვით ქართველი ხალხი ბოლშევიკებს არ გაყვნენ. ამიტომ ბოლშევიკების მისწრაფება იყო პირველ რიგში აღმოეფხვრათ ქართველ ხალხში დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური პარტიების, სო-

ციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების გავლენა, ე. ი. გაენადგურებინათ ხალხის პოლიტიკური ბრძოლის მატარებლები.

ამ «რაინდულ» მოღვაწეობას ბოლშევიკები, საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ზიშტებზე დაყრდნობით, თავიდანვე შეუდგნენ. დაიწყო მოწინავე მუშების, გლეხების და ინტელიგენციის დაპატიმრებები. მიუხედავად ამნისტიის გამოცხადებისა, მალე ჩეკამ დახვრიტა შვიდი ქართველი ოფიცერი: ლეკვინაძე, ფაველნიშვილი, გაგლოევი, საფაროვი, გიგინეიშვილი, ჭანიშვილი და მარკოზაშვილი. ქართული პარტიების მრავალი მოღვაწე იქნა დაპატიმრებული და საბჭოთა რუსეთში, შუა აზიასა და ციმბირში გადასახლებული, ავსტრიელი სოციალ-დემოკრატის, შემდეგ სოციალისტური ინტერნაციონალის მდივნის იულიუს ბრაუნთაღის ცნობით, რომელმაც 1922 წლის მარტ-აპრილში თავისუფალი პროფკავშირების ინტერნაციონალის დავალებით საქართველოში შედიკამენტები ჩაიტანა, საქართველოს ციხეებში მაშინ მოთავსებული იყო 7 ათასი სოციალ-დემოკრატი და ამდენივე სხვა ქართველი პარტიების წევრები და უპარტიოები (იხიულიუს ბრაუნთაღ—ფომ კომუნიზმუს ცუმ იმპერიალიზმუს. ვენა, 1922 წ.). სულ საქართველოს დაპყრობის დღიდან 1923 წლის ბოლომდე საქართველოში დაპატიმრებულ იქნა 30 ათასი კაცი (იხ. «ტერორორ გეგენ დი სოციალისტიშენ პარტაიენ ინ რუსსლანდ უნდ გეორგიენ». საქართველოს მთელი მოსახლეობა უდრიდა მაშინ თითქმის 2,5 მილიონს სულს). ამ დაპატიმრებულებიდან ბევრი დაიხოცა ციხეებში, პირველი მსხვერპლი იყო პოპულარული გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი.

ბოლშევიკების მასობრივი ტერორის მსხვერპლი გახდნენ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ბევრი მონაწილე, კულტურის და ხელოვნების ბევრი მოღვაწე, მწერლები, პოეტები, პოლიტიკური მოღვაწენი.

ქართველი ხალხი არ უშვებდა შემთხვევას, რომ დემონსტრაციებით გამოემქდავებინა თავისი მტრული განწყობილებ ბოლშევიკური დიქტატურული რეჟიმისადმი. განსაკუთრებით ასეთი დემონსტრაციები ეწყობოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების და მისი დაპყრობის დღეს, 26 მაისს და 25 თებერვალს. ამ დღეებისათვის ბოლშევიკური ხელისუფლება თავს უყრიდა რუსულ შვიარალეებულ ძალებს, რომლებიც სასტიკად უმასპინძლდებოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დემონსტრაციებს: ამ დღეებს საქართველოს ყველა ნაწილში იყო მოკოულები და დაპყრილები.

თავის მწვერვალს მასობრივმა ტერორმა მიაღწია ქართველი ხალხის 1924 წლის საყოველთაო აჯანყების სასტიკი

ჩახშობის შემდეგ, როცა ჩეკისტების შურისძიებამ ყოველ საშინელებას გადააჭარბა. ამ საშინელი ამბების შესახებ ბევრი დაიწერა, ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ობიექტური გერმანელი მეცნიერის, პროფესორი ერიხ ობსტის ცნობას, რომელიც იმ დროს იყო საქართველოში და რომელმაც თავისი მოგონებების შესახებ დასწერა წიგნი «რუსიშე სკიცენ».

«ჩვენი იქ ყოფნის დროს,—წერდა პროფესორი ერიხ ობსტი.—თბილისში სუფევდა ღრმა გლოვა. ბევრი ქალის სახე, რომელთაც უბრალო შავი ტანსაცმელი ეცვათ, გამოხატავდა ღრმა მწუხარებას. თითქმის ყველა მამაკაცი ატარებდა შავ პალსტუხს. მაგრამ გლოვის ამ ნიშნებს ისინი ატარებდნენ თითქოს მოშიშარი სიფრთხილით. მათ, ჩანს, ეშინოდათ, რომ გამოიწვევდნენ ეჭვს... ქართველი ხალხის აჯანყება ჩახშობილი იქნა გაუგონარი სისასტიკით. ოფიციალური კომუნისტური სტატისტიკა ლაპარაკობს რამდენიმე ასი კაცის დახვრეტაზე სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით. მაგრამ ვის აინტერესებს ეს რიცხვი? სინამდვილეში შურისძიებას მოწყურებული მხედრობის მსხვერპლს ათასობით ანგარიშობენ. მათ ხვრეტდნენ სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენის გარეშედაც, ხშირად ისეთებსაც, რომელთა შესახებ დოკუმენტალურად დამტკიცებული იყო, რომ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ (იხ. პროფესორი ერიხ ობსტი, «რუსიშე სკიცენ», ბერლინ-გრუნევალდ, 1925 წ. და «ცაიტშრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ», ბერლინი, 1924 წლის დეკემბრის ნომერი). სარწმუნო წყაროთა ცნობებით, მოკლულთა რიცხვი ადიოდა ნათასამდე.

დახვრეტილებს შორის იყვნენ მუშები და გლეხები, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ინტელიგენცია, პირველ რიგში პოლიტიკური ინტელიგენცია, ქართული პოლიტიკური პარტიების მუშაკები.

თბილისის მეტეხის ციხის პოლიტიკური პატიმრები, რომლებმაც დააგროვეს მასალები დახვრეტების შესახებ, საქართველოში ჩასულ ინგლისური ტრედ-უნიონების დელეგაციას შემდეგ წერდნენ ამ დახვრეტებზე:

«აჯანყების დროს, 1924 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში თბილისის ციხეებიდან, იმიერ-კავკასიის, საქართველოს და რკინიგზის ჩეკას სარდაფებიდან, აგრეთვე ციხის საავადმყოფოებიდან იქნენ გამოყვანილი და დახვრეტილი პატიმრები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ აჯანყების დიდი ხნით ადრე—1922, 1923 და 1924 წლებში. 30 და 31 აგვისტოს, 1, 2 და 3 სექტემბერს მხოლოდ მეტეხის ციხიდან იქნა გამოყვანილი და გაუსამართლებლად დახვრეტილი 146 პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შორის იყო მრავალი მშრომელთა საქმის ერთგული ძველი რევოლუციონერი და სოციალისტი, რომლებმაც მრავალი წელიწადი გაატარეს ციხიდან და კატორღაში; იყვნენ საზოგადო მო-

ღვაწენი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები. მწერლები და ჟურნალისტები, პროფკავშირების და კოოპერაციის მოღვაწენი, ნაციონალური საქმის მუშაკნი, ჩვენი ოფიცრობის საუკეთესო წარმომადგენლები....» (გაზეთი «ბრძოლა», ნომერი 9, პარიზი, 1926 წ.).

ამავე წერილში ნათქვამია, რომ აღნიშნულ სამ ჩეკადან იქნა გამოყვანილი 120 კაცი, მათ შორის რამდენიმე ქალი, ციხის საავადმყოფოებიდან კი 14 მძიმე ავადმყოფი. ამათ გარდა დახვრეტილ იქნა: ბათუმში 100 კაცამდე, სამტრედიის რაიონში 90-მდე, ფოთში 20, ოზურგეთში 8, სამეგრელოში 800, ქუთაისში 300, ქუთაისის მაზრაში 150, უიათურასა და ზესტაფონში 200, რაჭა-ლეჩხუმში 300, ხაშურში 29, გორის მაზრაში 400, მათ შორის 26 მღვდელი და 2 ქალი, დუშეთის რაიონში 150 კაცი. კახეთში დახვრეტილ იქნა 300, ბორჩალოში 70 და მანგლისის რაიონში 200 კაცი (იხ. გაზეთი «ბრძოლა», იქვე).

ამავე დროს ეს იყო ქართველი ხალხის შავი წლები ქართველი პატრიოტების მასობრივი განადგურებით, რაც საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის ხანას სანატრელს ხდიდა. დახვრეტილი იქნენ:

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ (კოლია) ქარცივაძე;

მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი და საქართველოს ელჩი მოსკოვში გერასიმე მახარაძე;

ქართველი მეცნიერი, კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი გრიგოლ წერეთელი;

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სახელგანთქმული რეჟისორი ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი;

ცნობილი პუბლიცისტი და კრიტიკოსი სეით დევდარიანი;

მრავალი რომანის და მოთხრობის ავტორი, გამოჩენილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი;

ნიჟიერი პოეტი ტიციან ტაბიძე დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში;

ასევე ნიჟიერმა პოეტმა პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა მოსალოდნელი დაპატიმრების წინ;

მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი პლატონ ქიქოძე დაიღუპა ჩეკას სარდაფში;

თბილისის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი ევგენი მიქელაძე დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში;

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში,

გამოჩენილი მსახიობი ქალი ხატუნა უიუნიძე-ყურულაშვილი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში;

ცნობილი მსახიობი ელგუჯა ლორთქიფანიძე დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში;

ცნობილმა ექიმმა და კრიტიკოსმა ივანე გომართელმა თავი მოიკლა მოსალოდნელი დაპატიმრების წინ.

ბერიას ჯალათი ჩეკისტების მიერ წამებული იქნენ და დაიღუპნენ:

დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ნიკიფორე იმნაიშვილი, საფუძვლიანი ფილოსოფიური და სოციოლოგიური განათლებით, რომელიც მან მიიღო გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის წინ; ოთხი წლის განმავლობაში ჰყავდა ბოლშევიკებს ციხეში ჩამწყვდეული, შემდეგ კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის თეორიების ისტორიას თბილისის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე იქნა მოხსნილი;

დიდი ცოდნით აღჭურვილი, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზდა მეცნიერები:

ბიძინა რამიშვილი,

ზურაბ ელიავა (1926 წ.),

გიორგი მგელაძე,

სოფრომ მიხეილიძე,

იურისტი-მეცნიერი გიორგი (ზოზო) ნანეიშვილი.

მათი გულწრფელი განზრახვა იყო დაბრუნებისას ჩამდგარიყვნენ ქართველი ხალხის სამსახურში. აბა, როგორ იფიქრებდნენ, რომ სასაკლაოზე ბრუნდებოდნენ.

კომუნისტური დიქტატურის პირობებში ქართველი ხალხის ტრაგედიის დასახასიათებლად მოვიყვანთ ორიოდ სიტყვას ი. მარგალინის წიგნიდან («პუტეშესტვიე ვ სტრანუ ზე—კა»), სადაც ის ასწერს ცხოვრების პირობებს ჩრდილოეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში: «ქართველები და ყაზახები,—წერს ის, ცხელი სამხრეთის ადამიანები, ამოწყდენ აქ ერთი ზამთრის განმავლობაში. 500 კაცის ჯგუფიდან დარჩა 250. ის, ვინც ეს მე გადმომცა, არის ქართველი ბათუმის ახლოს მდებარე სოფლიდან და ჯერ კიდევ არ არის მოხუცი, მაგრამ აქ სამი წლის ყოფნის შემდეგ ის საესებით დაუძღურებულა და სასიკვდილოდ განწირული ინვალიდია. მისი ჯგუფის არა 50, არამედ მთელი 100 პროცენტი დაიღუპა ობეგის ტყეებში». «ბანაკიდან მე დამჩა.—განაგრძობს მარგალინი,—პატივისცემის გრძობა ქართველი ხალხისადმი.... რომლის წელიწადი საკონცენტრაციო ბანაკების მასობრივ საფლაოში ერთი უმნიშვნელოვანესია საბჭოთა კავშირში». (იხ. ი. მარგალინი, «პუტეშესტვიე ვ სტრანუ ზე—კა», გვ. 155)!

მაგრამ ესაა ქართველი ხალხის მიერ თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაღებული მძიმე და უმანკო მსხვერპლის ხმოლად ერთი ნაწილი. ამ მსხვერპლის დაახლოებით სრული სურათის მოცემა შეუძლია ჩეკას-ს და გეპუეს-ს არქივებს და ფ. ლომაშვილის და ვ. ესაიაშვილის მოვალეობა იქნებოდა

ამ არქივების მთელი მასალა მზის სინათლეზე გამოეტანათ და დამნაშავეები ემხილებინათ, ქართველი ხალხისათვის ბოლშევიკური ტერორის მთელი ჯოჯოხეთური სურათი გადაეშალათ. მაგრამ მათთვის არ არსებობს, როგორც ჩანს, ამ საზიზღარო ბოროტმოქმედებებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი: ჯერ არავის გაუგონია, რომ საბჭოთა საქართველოში ეს დამნაშავეები გაესამართლებინოთ და დაესაჯოთ.

სამაგიეროდ ხრუშჩოვის დროიდან მოკლე ხნით მოდაში შემოვიდა მოკლულთა, უმთავრესად კომუნისტების, რეაბილიტაცია. არავინ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს. არსებითად კი ეს იმას ნიშნავდა, რომ კომუნისტურ ხელმძღვანელობას სურდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს რეაბილიტაციაქმნილი დაღუპული გამართლებულია და კომუნისტური ხელისუფლება ლმობიერებას იჩენს. მართლაც, ეს ერთგვარი კმაყოფილების გრძობას იწვევდა საბჭოთა საზოგადოებრიობაში, შემდეგ ეს შემთხვევები დაფიქსებდას ეძლეოდნენ და ნამდვილი დამნაშავენი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ. ცხადია, მთელი ეს რეაბილიტაციის კომედია კომუნისტურ ხელმძღვანელობას სუირდებოდა და მის მიერ იყო გამოგონილი იმისათვის, რომ მას ბრალდებულის სკამზე დაჯდომა ასცილებოდა. რასაკვირველია, ეს რეაბილიტაცია რომ სერიოზულად ნაგულისხმევი ყოფილიყო, მაგალითად, რეაბილიტაცია შეჩებოდა პოლიტიკურ ბრძოლაში დაღუპულ პირს, რომლის მოღვაწეობა მიმართული იყო კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ, მაშინ ასეთი რეაბილიტაცია იქნებოდა იმის ნიშანი, რომ ეს დასჯილი პირი და მისი მოღვაწეობა თუ მისი პოლიტიკური მიმართულება გამართლებულია, მაშინ ამის ლოგიკური შედეგი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ მიმართულების დაშვება ან მოთმენა. ამგვარ რეაბილიტაციას კიდევ ექნებოდა აზრი და მნიშვნელობა მაგრამ ამ რეაბილიტაციის კომედია ასე შორს არ მიდიოდა და არ მიდის, ე. ი. ის ეხებოდა ან კომუნისტებს (უკლონისტებსაც) ან პოლიტიკური ბრძოლის გარეშე მდგარ ცალკეულ პირებს.

ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველი ინტელიგენციის განადგურება კომუნისტური ხელმძღვანელობის მხრივ. მართალია, ე. ვსაიაშვილი თავის წერილში გულისხმობს მხოლოდ მეურნეობაში ჩასაბმელ ინტელიგენციას და მელექსეებს და მხატვრებს, «ინტელიგენციის ამ უნაზეს ნაწილს», როგორც ის წერს; ჩვენთვის კი, როცა ინტელი ენციანუა ლაპარაკი, პირველ ყოვლისა საქმე ეხება ქართველი ხალხის ეროვნულ მესაიდუმლეს, მისი პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ ინტელიგენციას. ის იყო ბოლშევიკებისათვის საშიში. მაგრამ ეს პოლიტიკური ინტელიგენცია კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ შეუბრალებლად ამოწყვიტა და მას შერჩა ძირითადად სამე-

ურნეო და «უნაზესი» ინტელიგენცია, რომლის ფსიქოლოგია ისეთია, რომ ის ადვილად ეგუება ყოველ პოლიტიკურ რეჟიმს, თვით მისი გამოყენებით პოლიტიკური მიზნებისათვის. ქართველი მოშიარენიც, სულ მცირე გამონაკლისის გარდა, მალე გაიწაფნენ ლენინისა და სტალინის სადიდებელი ლექსების და ჰიმნ-ოდების წერაში. კომუნისტურმა რეჟიმმა ეს ინტელიგენცია სავსებით გამოიყენა თავისი მიზნებისათვის.

როცა ხრუშჩოვმა სტალინის საქმენი საგმირონი ამხილა და მისი ლეში მავხოლეუმიდან გამოათრია, ბევრი იმედოვნებდა, რომ პიროვნების გაკერპებას, მწარე გამოცდილების შემდეგ, ბოლო მოეღებოდა, მაგრამ ლენინმა თანდათან წამოყო თავი; თვით ხრუშჩოვის პრესტიჟიც პარტიაში გაიზარდა და ფიქრობდნენ, რომ ის რამდენადმე ამ მხრით სტალინის ადგილს დაიჭერდა. მაგრამ მან უეცრად ფეხი წაიტეხა და ბურთი და მოედანი ისევ ლენინს დარჩა.

ყოველ ავტორიტარულ რეჟიმს, რასაკვირველია, კომუნისტებსაც სჭირდებათ ერთი კერპი, რომ ილოცონ მასზე და ასეთი მათ ჰყავდათ ყოველთვის: თავიდან ლენინი (ილიჩი), რომელიც მალე დიდი ხნით და საფუძვლიანად შესცვალა «ხალხთა მამამ», სტალინმა. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ სტალინიზმის ძირითადი პოზიციები არ შერყულა. მართალია რეჟიმის მუხრუჭი ხრუშჩოვის დროს ცოტაოდნად შეშვეული იქნა, მაგრამ ის მაინც იმდენად უჭერს, რომ რეჟიმი ჩანასახშივე ჰკლავს თავისუფლების ყოველ გამოსმაჯრებს. მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში გასამართლებული და სასტიკად დასჯილი რუსი მწერლების სინიაესკის და დანიელის საქმემ ააფორიაქა და აღაშფოთა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და ყველა რიგიანი ადამიანი.

ლენინი უზარმაზარი პასუხისმგებლობით არის დატვირთული საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ. ის უშუალოდ პასუხისმგებელია წითელი ჯარების მიერ საქართველოს დაპყრობისათვის; სწორედ მან შეუსია ეს ჯარები საქართველოს და გადასცა ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ჩეკისტებს საწამებლად და ამოსაწყვეტად. ამავე დროს უანდერძა თავის მეგვიდრეებს იდეები, რომლებიც სახელმძღვანელო გახდა მათთვის ეგრედ წოდებული სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

სოციალიზმი, როგორც სოციალ-ეკონომიური ფორმაცია, შესაძლებელია, მარქსის მოძღვრების მიხედვით, მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმის საფუძველზე. ლენინმა უსავეო აღიარა ამ დებულების სისწორე, მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, რუსეთისათვის კი, სადაც კაპიტალიზმი მხოლოდ შესვლას იწყებდა, მან იხელმძღვანელა ფაქტიური განვითარებით, რუსულ ცხოვრებაში ისტორიულად დაშკვიდრებული სოციალური და ეკონომიური ფორმებით, რომლებსაც ყურადღება პირველად სლავოფი-

ლებმა და ხალხოსნებმა (ნაროდნიკებმა) მიაქციეს. ამით აზრით, რუსეთი არ ვითარდებოდა კაპიტალიზმის გზით, რომლის შესვლა იქ ამიტომ შეუძლებელი და არასასურველიც იყო. ნაროდნიკები ფიქრობდნენ, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის კაპიტალიზმი ზედმეტი იყო, ის სრულებით საჭირო არ იყო. ლენინმა სავსებით გაიზიარა ეს შეხედულება, მით უფრო, რომ რუს გლეხობას, მისი აზრით, ახასიათებდა სოციალისტური მისწრაფება, «გლეხი მიიწევს სოციალიზმისაკენ», «მუშათა დიქტატურა მას ურჩევნია ბურჟუაზიის დიქტატურას». ლენინის ამ რუსულმა ანტიმარქსისტულმა აზროვნებამ მოხიბლა მისი მემკვიდრეები, რომლებმაც ძველი რუსული «ობშინის» (თემის) სული «შთაბერეს ახალ კოლექტივს, გააცოცხლეს ეს ძველი ობშინა კოლმეურნეობის სახით, ერთი ზელის დაკვრით ჩაატარეს მთლიანი კოლექტივიზაცია სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ეს ნაძალადევი კოლექტივიზაცია არ არის სოციალიზმი, ვინაიდან ამ კოლმეურნეობებში კოლმეურნის შრომის ნაყოფს ითვისებს სახელმწიფო და კოლმეურნე ვერ აპურებს თავის ოჯახს თავისი შრომით კოლმეურნეობაში; ის იძულებულია იმუშაოს საკარმიდამო ნაკვეთზე და გაურბის მუშაობას კოლმეურნეობაში. კოლექტივიზაციამ თავიდანვე გაამეფა საბჭოთა სოფლის მეურნეობაში მუდმივი კრიზისი, რომლის დაძლევა ჯერაც არ მოხერხდა და არც მოხერხდება კომუნისტური რეჟიმის პირობებში. მდგომარეობის გამოსასწორებლად კომუნისტური ხელისუფლება ფიქრობს გაატაროს რეფორმა კოლმეურნის მატერიალური დაინტერესებით, ოღონდ შეინარჩუნოს ეს მავნე კოლმეურნეობის სისტემა.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამ ნაძალადევა კოლექტივიზაციამ, რომელიც საბჭოთა იმპერიის განვითარებისათვის წარმოადგენს იმას, რასაც მარქსი პირვანდელ აკუმულაციას უწოდებს, სავსებით შეასრულა თავისი დანიშნულება, რისთვისაც ის ჩატარებულ იქნა: შესაძლებელი გახადა საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ როგორი მსხვერპლით? საქართველოში მას შეეწირა მრავალი ათასი მუყაითად მშრომელი გლეხი, საბჭოთა რუსეთში კი, სხვადასხვა წყაროების ცნობით, 15 მილიონამდე გლეხი.

მიუხედავად მრავალი ამგვარი საშინელებისა, კომუნისტებს ჰგონიათ, რომ მათ საბჭოთა კავშირში უკვე განახორციელეს სოციალიზმი და ახლა გადადიან კომუნისტების მშენებლობაზე. კომუნისტური პროპაგანდა არწმუნებს მათ ამაში და ბევრს კიდევ სჯერა ეს. ნეტარ არიან მორწმუნენი! მაგრამ სოციალიზმი, რასაკვირველია, მეტია. ვიდრე საბჭოთა კოლმეურნეობა, საბჭოთა კომუნისტების მახინჯი კოლმეურნეობის მეტი არაფერი შეუქმნიათ, გარდა აუარებელი ატომური და არაატომური შეიარაღებისა. რომლითაც ისინი წელს მოფლიოს ომით და დაპყრობით ემუქრებიან. თითქოს არ

კმაროდეს ის აუწიერელი უბედურება და განადგურება, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა მთელ კაცობრიობას მოუტანა. განსაკუთრებით სასტიკად დაისაჯა საქართველო, საიდანაც ომში გაყვანილ იქნა 600 ათასი ახალგაზრდა, რომელთაგან, თანახმად საქართველოს საბჭოთა მთავრობის ოფიციალური ცნობისა, 400 ათასი აღარ დაბრუნებულა, ე. ი. საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის 25 პროცენტი დაიღუპა; დაიღუპა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი მომავლის იმედი და მატარებელი. მაგრამ დაიღუპა არა საქართველოსთვის, არამედ მოსკოვის გადასარჩენად ომში, რომლის გაჩაღებაში თვით მოსკოვი აქტიურად იყო ჩაბმული.

უკანასკნელ ომიდან არსებითად გამარჯვებული გამოვიდა მხოლოდ საბჭოთა კავშირი: მან დაიკავა მთელი შუა ევროპა და მისი სკმხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამით მან თითქმის განახორციელა პანსლავისტების ოცნება, რუსეთის ხელმძღვანელობით სლავური ხალხების გაერთიანებისა და ევროპაში რუსეთის ჰეგემონიის დამყარების შესახებ. ამავდროს გამარჯვებამ ამ ომში რუსეთი დააყენა «რუსული იდეის» განხორციელების გზაზე. მთელი რუსული აზროვნების მიხედვით, რუსეთი აღჭურვილია საგანგებო მისიით განახორციელოს მშვიდობაზე და სამართლიანობაზე დამყარებული ღვთიური სამეფო დედამიწაზე და იხსნას კაცობრიობა დაღუპვისაგან. ევროპა გაიხრწნა და კვდება, რუსეთი კი ახალგაზრდა და ძლიერი, სწორედ ამიტომ უნდა იკისროს რუსეთმა კაცობრიობის გადარჩენის რალიო. სოციალიზმის განხორციელებაც ხალხოსნებმა (ნაროდნიკებმა) რუსეთის საგანგებო მისიად დასახეს.

ამ შეხედულებას დაადგა ლენინიც, რომელიც თავის ახალგაზრდაობაში მე-19 საუკუნის რუსი ბუნტარული და რადიკალური რევოლუციონერების დიდ გავლენას განიცდიდა. «მუშათა კლასს აპყრობენ სოციალ-დემოკრატიები თავიანთ ყურადღებას,—სწერდა ლენინი. როდესაც მისი მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეას, იდეას რუსი მუშის ისტორიული რალიისა, როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდებიან და მუშათა შორის შეიქმნებიან მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც ახლანდელ დაქსაქსულ მუშათა ეკონომიურ ომს გარდაქმნიან შეგნებულ კლასთა ბრძოლად, მაშინ რუსი მუშა, ყველა დემოკრატიული ელემენტების სათავეში ჩამდგარი, დაანგრევს აბსოლუტიზმს და წაიყვანს რუს პროლეტარიატს ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად, ღია პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისკენ». ამრიგად, რუსი მუშა ანგრევს აბსოლუტიზმს და ახდენს მსოფლიო რევოლუციას. ამით რუსი მუშა, რაც ამ შემთხვევაში იგივეა, რაც რუსეთი, იპყრობს მსოფლიოს. ამაში მდგომარეობს, ლენინის მიხედვით, რუსი მუშის

ანუ რუსეთის ისტორიული როლი. ჯერ არცერთ იმპერიალისტს თავისი იმპერიალისტური ზრახვები არ გამოუთქვამს ასე აშკარად, ასე მკაფიოდ. ესაა სწორედ ძველი «რუსული იდეა», მოსკოვის, როგორც «მესამე რომის» იდეოლოგია. რუსი ხალხი რჩეულია, «უფროსი ძმა» და მოწოდებულია შექმნას მთელი კაცობრიობისათვის ბედნიერი სამეფო. ეს შეუძლია მხოლოდ რუს ხალხს, სხვას ამის უნარი არ აქვს. ამ ტონზე გალობს ლენინიც და მსოფლიოს განთავისუფლებას რუსი მუშის, რუსეთის საგანგებო მისიად სახავს. ეს ისტორიული როლი, ეს ამოცანა რუსეთს ლენინის მიერ მიჩენილი აქვს აგრეთვე მის «იმპერიალიზმის თეორიაშიდაც».

ლენინისათვის იმპერიალიზმი არის მომავლადეი კაპიტალიზმი, გადასვლა კაპიტალისტურიდან უფრო მაღალ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციაში. მონოპოლისტური კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების გაძლიერება ქმნის რევოლუციების და ომების შესაძლებლობას, ომი კი ასუსტებს იმპერიალიზმის ფონტს და ამით შესაძლებელს ხდის სოციალიზმის გამარჯვებას. იმპერიალიზმი არის ამ უთანაბრო კაპიტალისტური განვითარებით შექმნილი ჯაჭვი. რომლის ცალკეული რგოლი თვითეული სახელმწიფოა. ომის და რევოლუციის შედეგად სუსტი სახელმწიფო—ასეთ შემთხვევებში ლენინს ყოველთვის რუსეთი ჰყავდა მხედველობაში—თავს აღწევს ამ იმპერიალისტურ სისტემას. რუსეთი იყო სწორედ ერთი ასეთი სუსტი რგოლი, ე. ი. კაპიტალისტურად სუსტად განვითარებული, ბოლშევიკურმა რევოლუციამ გამოკვლიჯა ის ამ იმპერიალისტური სისტემის ჯაჭვიდან. ამით უკვე მოცემული იყო ლენინისათვის წინასწარი პირობა იქ სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობისა, რისთვისაც სრულებით არ იყო. მისი აზრით, საჭირო განვითარებული კაპიტალიზმი. მარქსმა კი მთელი თავისი სიცოცხლე იმის მტკიცებას მოანდომა, რომ სწორედ განვითარებული კაპიტალიზმი გამოჰყავს სოციალიზმის ელემენტებს. ლენინისათვის, პირიქით, გლეხური საზოგადოებაც იძლევა ამ ელემენტებს; საჭიროა მხოლოდ გაძლიერებული იქნას გლეხი რ. მან ბუნებაში სოციალისტური მიდრეკილება დაძლეულ იქნას მისი კაპიტალისტური ტენდენცია მასზე კომუნისტური სახელმწიფოს აქტიური გავლენით, სასტიკი კლასიური ბრძოლით. ე. ი. გეკუეს, ენკავედეს საშუალებით ანუ უმოწყალო ტერორით.

ლენინმა გასაბჭოებულ რუსეთს დააკისრა «რევოლუციური» ამოცანა, გადააქცია ის მსოფლიოს წინააღმდეგ ბრძოლის ბაზად, «პროლეტარული რევოლუციის» ირგვლივ შემოვლებული «ალყის» გასარღვევად. ის გადაიქცა მსოფლიო რევოლუციის საოპერაციო ბაზად და მის არსებულად. თითქმის ნახევარი საუკუნეა უკვე წარმოებს იქიდან განუწყვეტე-

ლი შეტევა თავისუფალი მსოფლიოს წინააღმდეგ, იქ კომუნისტური ბატონობის დასამყარებლად. ამ კომუნისტური იმპერიალიზმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ლენინი თითქოს ვებრძოდა კაპიტალისტურ იმპერიალიზმს, მაგრამ თვითონ ჩაუყარა საფუძველი ისტორიაში უმაგალითო კომუნისტურ იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ლენინის იმპერიალისტური იდეოლოგია მოხვდა, რასაკვირველია, წინააღმდეგობაში მის მიერვე მკაფიოდ და სოციალისტებისათვის სავალდებულოდ აღიარებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპთან. ის წერდა:

«ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს განსაკუთრებით უფლებას დამოუკიდებლობაზე, პოლიტიკური გაგებით, უფლებას თავისუფალ პოლიტიკურ გამოყოფაზე მჩაგვრელი ერისაგან» (ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 135, მე-4 გამოცემა, რუსულად).

«სოციალისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ გადაჭრით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა რევოლუციურ ელემენტებს და ხელი შეუწყონ მათ აჯანყებებს... მათი მჩაგვრელი იმპერიალისტური ქვეყნების წინააღმდეგ»-ო (იქვე, გვ. 140).

ლენინი ავალდებულებს, ამრიგად, სოციალისტებს ხელი შეუწყონ ჩაგრული ერების აჯანყებას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ძველი რუსეთის იმპერიის კონკრეტულ შემთხვევაში ლენინმა მკაფიოდ გამოთქვა ამ იმპერიაში შემავალი ხალხების უფლება თვითგამორკვევაზე თვით გამოყოფამდე შემდეგი სიტყვებით:

რუსეთში ცარიზმის მიერ დაჩაგრული ერების რუსეთისაგან თავისუფლად გამოყოფის უფლების ცნობა უსათუოდ სავალდებულოა სოციალ-დემოკრატიებისათვის, მათი დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების გულისათვის» (იქვე, გვ. 143).

მაგრამ ლენინმა გადალუნა მის მიერვე წამოყენებულ დაციონალური პრინციპი, მისი მისწრაფებაა «პოლიტიკური გამოყოფის გზით თვითგამორკვეული ერები» გათქვიფოს ე.წ-ლ «სრულ დემოკრატიულ ცენტრალიზმში» და სრულებით შემოიერთოს ისინი.

«სოციალიზმის მიზანია.—წერს ის—არა მხოლოდ კაცობრიობის პატარ-პატარა სახელმწიფოებად დაყოფისა და ერების ყოველგვარი განცალკევების მოსპობა, არა მხოლოდ ერების დაახლოება, არამედ მათი შეერთება» (იქვე, გვ. 135). ეს «შეერთება» ნიშნავს ლენინისათვის ამ ერების შემოერთებას მისი «დემოკრატიული ცენტრალიზმის» სისტემაში. ასეც მოხდა. თეორიულად ლენინმა აღიარა ერთა თვითგამორკვევის უფლება, სინამდვილეში კი ყველა, რუსეთისაგან გამო-

30209

ყოფილი, ნაციონალურად თვითგამორკვეული და სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი ერი დაიპყრო მან და დაიპყრეს მისმა მემკვიდრეებმა ხელახლა იარაღით, დაიპყრეს ისეთებიც, რომელთა დამოუკიდებლობა თვითონ ლენინმა იცნო. მაგალითად, საქართველო, ცნობილი 1920 წლის 7 მაისის ხელშეერთლებით, შემდეგ ბალტიის სახელმწიფოები და ბევრი სხვა.

ერთა თვითგამორკვევის უფლება, ლენინის მიერ ცნობილი და შემდეგ ფუნქციონირებელი, შეტანილ იქნა საბჭოთა კონსტიტუციის დაცვაში, რომლის მე-17 მუხლის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ გამოვიდნენ კავშირიდან. მაგრამ ეს კომუნისტურ ხელმძღვანელობას არაფერს ავალდებს და მას შეუძლია ეს თამამად წეროს, ვინაიდან იცის, რომ მისი «დემოკრატიული ცენტრალიზმის» რეჟიმი, კომუნისტური პარტიის დიქტატურა არ იძლევა შესაძლებლობას კონსტიტუციის ამ მუხლის განხორციელებისათვის.

აჯანყების გზა და აჯანყებულთა დახმარება შეადგენდა ლენინის და შეადგენს მისი მემკვიდრეების საგარეო პროპაგანდის ქვაკუთხედს, როცა საქმე ეხება ერების სხვა სახელმწიფოთა კოლონიური თუ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. ამგვარი პროპაგანდით კომუნისტური ხელმძღვანელობა ცდილობდა და ცდილობს ამ ერების გულის მოგებას და მათზე თავისი დამლუპველი გავლენის გავრცელებას უფრო, ვინემ მათ განთავისუფლებას. ის მოითხოვს სხვებისაგან ჩაგრული ერების განთავისუფლებას, თვითონ კი მუდამ იპყრობდა, მაგრამ არავინ გაუთავისუფლებია. ხოლო თავისუფლების მოპოვებაზე ოცნებობს მრავალი, კომუნისტების სასტიკი რეჟიმის ქვეშ მყოფი ერი.

ამავე დროს კი დასავლეთის ყოფილმა კოლონიურმა სახელმწიფოებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, გაათავისუფლეს უკანასკნელი ომის შემდეგ მრავალი ერი, 800 მილიონზე მეტი მოსახლეობით. მაგრამ ეს მოხდა არა აჯანყების და სისლის ღვრის შედეგად, არამედ ამ სახელმწიფოთა მხრით სრულებით ნებაყოფლობით. დასავლეთი ათავისუფლებს ერებს, კომუნისტები კი ჩაგრავენ მათ.

აი, ეს არის ნამდვილი ლენინი, ვ. ესაიაშვილის «ლადიკო». ყველაფერი ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, რომ ლენინმა საქართველოს სოციალური და ნაციონალური განთავისუფლება მოუტანა? ვინც კი ამას მაინც ამბობს, ის შეგნებულად ატყუებს ქართველ ხალხს.

ჩვენი პოზიცია აბსოლუტურად ეროვნული და დემოკრატიულია. დაჩაგრულ ერს აქვს წინააღმდეგობის და აჯანყების უფლება მჩაგვრელის მიმართ. მაგრამ შექმნილ მდგომარეობაში ჩვენ უარყოფთ აჯანყების გზას და ვცდილობთ საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერებს შორის ნამდვილი დემო-

კრატული ძალების დარაზმვას და მათ გაძლიერებას კომუნისტური დიქტატურის მოსაშლელად. ამ საქმეში მთელი თავისუფალი კაცობრიობის მორალურ-აქტიური სიმპათიები მეტბოლო ერების მხარეზე იქნება. კრემლის ოლიგარხიის დაცემა გზას გაუხსნის ადამიანის და ერის განთავისუფლებას. განთავისუფლებული ერები, დემოკრატიულ სახელმწიფოებად დამკვიდრებულნი, ადვილად გამოჩაჩვენებენ მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანაარსებობის ფორმას კომუნისტური ხელისუფლება სწამლავს ურთიერთობას საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერებს შორის, დემოკრატიული ძალების გამარჯვება კი დაამყარებს ამ ერებს შორის ახალს და ურთიერთ გაგებაზე აგებულ მეგობრულ ურთიერთობას.

მ. იმნაიშვილი.

1966 წლის აგვისტო.

### საპარტიო კომპარტიის შრილობა

მოსკოვის კოლონიალურ-ეკონომიურ პოლიტიკის ახდელი, აშკარა დემონსტრაცია მოგვცა საბჭოთა რუსეთის საკავშირო კომპარტიის პლენუმმა. მის დირექტივებში მოცემულია ეკონომიური ხასიათის ამოცანები. რომელთა შესრულება ევალემა თითველ ნაციონალურ ერთეულებს. აქედან ცხადია არაა გამორიცხული საქართველო, რომლის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო დარგებს ეძლევათ წინადადება ამა თუ იმ პროცენტული განსაზღვრით დანაკვეთების შესრულება. რასაკვირველია ამ გეგმათა შემუშავების დროს მოსკოვი არ შეკითხებია ადგილობრივ მთავრობებს, რომ მათგანაც მოესმინა აზრი და მიეღო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა (იხ. «კომუნისტი» № 43. 20.2.66).

პლენუმის მოცემულ საფუძველზე საქართველოს კომპარტიის მდივანი აგებს ვრცელ მოხსენებას. იგი ასაბუთებს მოსკოვიდან მოცემულ ბრძანების შესრულების საჭიროებას... მაგრამ ექვი ეპარება სიზუსტით მის განხორციელებაში და კითხულობს: «რატომ არის ჩვენში ჩამორჩენილი სამრეწველო დარგები?» და თვითონ უპასუხებს: «მთავარი მიზეზი ის არის რომ წარმოების ზოგიერთმა დარგმა ვერ შეძლო თავის საწარმოვო მუშაობის ორგანიზება. საწარმოვო დირექტორი ცენტრალური ფიგურაა წარმოებაში, იგი უნდა იყვეს ეკონომიურად წინიერი(?) საწარმოვო რენტაბელობისთვის, წარმოების მაღალი კულტურისთვის, პროგრესულ ტექნოლოგიისთვის ბრძოლის უნარიანი ორგანიზატორი» და სხვ.

გენ. მდივანს არ შეიძლება ავიწყდებოდეს და ამიტომაც იგი მხოლოდ აბრეყებს თავის აუდიტორიას რადგან პლენუმმა არსებითად მიიღო გადაწყვეტილება, რომ მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ბედს განაგებს პარტია, მისი ადგილი-

ბრივი ორგანო—რომელიც დაკავშირებულია დავმოზრჩილებას ცენტრს. მოსკოვის პლენუმმა თითქოს მისცა ადგილობრივ ქარხნების დირექციას ავტონომიური უფლებები, ამავე დროს ცენტრის უფლების გაძლიერებით, მეორე ხელით მას წაართვა და მოუხდინა სრული პარალიზაცია.

გენ. მდივანი ჩივის სავაჭროებში გამეფებულ უწესოების შესახებ, სადაც გამეფებულია გაფლანგვა, დატაცება, ქურდობა, მყიდველთა მოტყუილება. ვინ შექმნა და ვინ დაამყარა ეს ამორალური წესები?.. ამას გენ. მდივანი ვერ იტყვის, რადგან ამით საბრალდებულო ოქმს შეუდგენდა არსებულ მმართველობის სისტემას, რომელმაც შექმნა სიღარიბე-სიღატაკე, და იძულებული გახდა მოსამსახურე—არა სკადრის საშუალებას მიმართოს—ოჯახის გამოსაკვებთ.

მომხსენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობაში შექმნილ სულიერ განწყობილებას, რომელსაც არ იზიდავს ბოლშევიკური იდეოლოგია: «ჩვენში ახლი ისეთი ახალგაზრდები რომლებიც არცხვენენ საბჭოთა ახალგაზრდობის სახელს, უგულვებელყოფენ შრომას, არ ცხოვრობენ საზოგადოების ინტერესებით. გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, თავიანთ კოლექტივის ცხოვრებას, არღვევენ სოციალისტურ საერთო ცხოვრების წესებსა და ნორმებს»... რეჟიმს, რომელსაც არ ყავს მომავალი თაობა ერთგული—ის ისტორიისგან განწირულია, აი რა აშინებს გენ. მდივანს...

აღსანიშნავია მისი მხილება: «ვერ ვიტყვით ჩვენი ხალხის იდეური აღზრდის დარგში გაკეთებულია ყველაფერი და გადაჭრილია ყველა საკითხი. ჩვენში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ეროვნულ შეზღუდულობასა და ზოგჯერ თვით ნაციონალიზმის ელემენტების ცალკეულ გამოვლინებებს. ჩვენ, კომუნისტებს უფლება არ გვაქვს შეურიგდეთ, ან თუნდაც ერთეულ ფაქტებს». აი ეს ნაციონალისტური მიდრეკილებაა, რომ ყველაზე მეტათ აფრთხობს კრემლს და მის ადგილობრივ წარმომადგენელს.

ის განაგრძობს: «უაღრესად მტკიცე წინააღმდეგობას უნდა უწევდეთ ნაციონალიზმს, კუთხურობის ყველა დაყოველგვარ გამოვლინებას, გვახსოვდეს, რომ ეს მოვლენები მვენე და საშიშია, რომ ისინი საფუძველს აცლიან ჩვენს დიდ საქმეს»... არ ცდება ბ-ნი შეავანაძე. ეროვნული მოძრაობა ყველაზე მეტად საშიშია საბჭოთა იმპერიის დასაზრგევად...

სულ სხვა ხასიათის და შინაარსის იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გენ. მდივნის გამოსვლა ამავე ყრილობაზე. მისგან ჩვენ გავიგეთ იმ რუსიფიკატორულ პოლიტიკის წარმოება, რომელსაც მოსკოვის ზოგიერთი ოფიციალური ლიტერატურული წრეები აწარმოებენ, საბჭოთა მთავრობის ნებართვით.—ყოველ შემთხვევაში მისი მფარველების ქვეშ, —ასაბუთებენ ერთა აღრევას, ნაციონალურ ზღუდეების მო-

შლას და ერთი ენის საპირობებს, ამ გზით ერთ საბჭოთა ერის ჩამოყალიბებას (იხ. «კომუნისტი» 10.3.66).

აი ამ საინტერესო გამოსვლიდან ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ადგილს:

«აღმოჩნდნენ ისეთი ვაი-პარტიული მუშაკები, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს, საპირობო არ არის საბჭოთა კავშირში შემაჯალი ყველა ერთი თავის სამრეკლოდან რეკავდესო. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ლიტერატურა და ხელოვნებაში ბრძოლის გამოცხადებას ეროვნული ფორმის წინააღმდეგ, — ხოლო «ფორმა პირველი გახლავთ ენა, და აი გაიმართა კამათი პრესაში ეროვნული ენების ყოფნა არ ყოფნის საკითხებზე».

ორატორი აღნიშნავს, ათიოდე წელია აღარაფერი ისმოდა ამხრავ, ეხლა ისევ იფეთქაო და განაგრძობს: «ეხლა კვლავ ერთხელ და სამუდამოთ უნდათ მოსპონ, წაშალონ ეროვნული თავისებურებანი, ეროვნული ფორმები და გააერთიანონ იგი ერთ საერთო ინტერნაციონალურ კულტურაში».

თავის დასკვნების შემდეგ მწერალთა კავშირის მდივანს მოჰყავს საწინიშოდ რუსიფიკატორულ კალმოსანთა წერილებიდან შემდეგი ნაწყვეტი: «ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში ჩვენ სულ ნაკლებათ გვაინტერესებს ეროვნული დეტალები, მაგრამ ისმება საკითხი: როგორ, რა გზით შივალთ ყველა ერთი სთვის საერთო ინტერნაციონალურ კულტურამდე თუ შევიწინავეთ მხოლოდ იმას, რაც გვანსხვავებს — ერთი ხალხის კულტურას მეორე ხალხის კულტურისგან?»

მაშ ასე სხვადასხვა ერთა ნაციონალურ კულტურის მოსპობა — ყველა ერთა ბოლშევიკურ სამყაროში ათქვეფა. პატივცემულ პოეტ-აკადემიკოს ირ. აბაშიძის აღშფოთება, რომ გულწრფელი — ჩვენ ამაში ეჭვი არ შეგვედის, მაგრამ არ უნდა უკვირდეს, რუსულ-ბოლშევიკურ იმპერიალიზმს აქვს თავისი ლოლიკური შტდეგები.

ბ. ხარჯველაძე.

## კონსტიტუციის დღე

საქართველოს რადიო, პრესა, ტელევიზია, შეეხო საბჭოთა კონსტიტუციის სხვადასხვა მხარეს, შეეხო ზოგიერთ იმ ფილებებს, რომლებსაც ეს კონსტიტუცია განსაზღვრავს. მაგრამ გაზეთის სტატიები, რადიოს კომენტარები თუ ტელევიზიის საუბრები უფრო მეტს საქართველოს მრწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების «მიღწევებზე» ლაპარაკობს, ვიდრე თვით ამ ე. წ. «საბჭოთა კონსტიტუციაზე!» ვამბობთ, «ეგრედ-წოდებულს» იმიტომ, რომ, ჩვენის აზრით, არსებობს არა «საბჭოთა კონსტიტუცია», არამედ «საბჭოთა სოციალისტუ-

რი რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია» და, რაც საქართველოსათვის უფრო მნიშვნელოვანია, «საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია». და საქართველოს რადიოს, პრესის თუ ტელევიზიის კომენტარებიდან თუ საუბრებიდან ის საკითხიც კი არ არის გარკვეული სახელდობრ რომელი «საბჭოთა კონსტიტუციის დღეა» ხუთი დეკემბერი—საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის თუ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის? მართალია, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ბევრი მუხლია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისა სრულიად უცვლელად შეტანილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც მნიშვნელოვანია ხაზგასმით იქნეს აღნიშნული, თუ რომელი კონსტიტუციის დღეა ნ დეკემბერი. და ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ნ დეკემბერი არის ისევე ეს გრძელი სახელწოდება რომ გავიმეოროთ—«საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის დღე», რომელიც ძალაში შევიდა 1936 წლის ნ დეკემბერს და რომელსაც მაშინ «სტალინურ კონსტიტუციას» უწოდებდნენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს «სტალინური კონსტიტუცია» მართლაც რომ სტალინური-მაკიაველური წესითა და რიგითაა შედგენილი. მასში—ერთის მხრივ—შეტანილია ისეთი ლამაზი და ძვირფასი სიტყვები, როგორცაა სიტყვის, ბეჭედის, კრებების, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლება (მუხლი 125-თე), მაგრამ მეორე მხრივ—იგივე 125-თე მუხლი არარაობათ აქცევს ამ ე. წ. «უფლებებს», როცა სწერს, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება განხორციელდეს იქნეს ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ, თუ ის «მშრომელთა ინტერესებსა და სოციალისტური წესწყობილების განმტკიცებას ემსახურება». სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, სიტყვის, ბეჭედის, კრებების, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლება უზარუნველყოფილია დღეს ჩვენს სამშობლოში, საქართველოში მხოლოდ მაშინ, თუ ეს პართტელ მძღვანელობის პოლიტიკას, მოცემულ მომენტში, ემსახურება, და რომ ეს ასეა, ეს ჩვენმა სტუდენტებმა და ახალგაზდა მუშებმა ფიზიკურად იგრძენეს, როცა 1956 წლის მშვიდობიანი დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა რუსეთიდან მოყვანილი ჯარის ნაწილების ტყვიამფრქვევების ცეცხლში გაეხვია.

მაგრამ არა მარტო საქართველოს მოქალაქეთა უფლებებია განსაზღვრული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციით მაკიაველურად, არამედ თვით საქართველოს, ქართველი ერის უფლებებიც, როგორც სახელმწიფოსი და როგორც ერის. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით (მე-15 მუხლი) მოკავშირე რესპუბლიკები «სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკებია», ე. ი. საქართველოს რესპუბლიკა «სუვერენული სახელმწიფოა!» მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ ჩვენს სუვერენულ რესპუბლიკას და მის

მთავრობას იმის უფლებაც კი არ აქვს, რომ თავის მოქალაქეებს საზღვარგარეთ წასვლის და უცხოელებს საქართველოში შემოსასვლელი ვიზა მისცეს. ამიტომ იყო, რომ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის თავზე გამართულ საიუბილეო დღეებშიც კი ბევრი უცხოელი სტუმარი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ საქართველოში, თბილისში ჩამოსვლაზე, ვინაიდან მოსკოვის პარტხელმძღვანელობამ მათ ვიზები არ მისცა: ხოლო ვისაც მისცა, მათ ერთი კვირითაც კი არ გაუგრძელა ვიზა, რომ მეტი დრო დარჩენილიყვენ საქართველოში საიუბილეო დღეებში და უფრო გაცნობიერდნენ ჩვენი ერის ისტორიულ ადგილებს, მუზეუმებს, ხალხს.

ასევე ფიქტიურია აგრეთვე საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომლითაც «ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს თავისუფლად გავიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან», ასევე ფიქტიურია აგრეთვე მე-18—«ა» მუხლი, რომლითაც საბჭოთა საქართველოს უფლება აქვს უშუალოდ დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და დასდოს მათთან შეთანხმება დიპლომატიური და საკანსულო წარმომადგენლობის შექმნაზე.

ასეთივე მდგომარეობაა მე-18—«ბ» მუხლის საკითხშიც, «ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია თავისი რესპუბლიკური სამხედრო შენაერთები». სინამდვილეში კი, საქართველოს, რომელმაც, როგორც ლეონიდ ბრეჟნევმა აღნიშნა,—მეორე მსოფლიო ომის დროს 600 ათასზე მეტი ჯარისკაცით მიიღო მონაწილეობა,—დღეს ერთი ქართული დივიზიაც კი არ გააჩნია, რომელიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, პირველი მისიის თუ სხვა დღესასწაულის დროს სამხედრო აღლუმზე მაინც გამოვიდოდა რუსთაველის პროსპექტზე.

როგორც ვხედავთ, მაკიაველურია, ფიქტიურია—საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დებულებები პიროვნების საკითხში; მაკიაველურია, ფიქტიურია—საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დებულებები საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ საკითხებში.

ქართველმა ერმა უნდა შესძლოს თავისი ეროვნული უფლებების გაფართოება, საქართველოს მოქალაქეებმა შესძლოს მეტი თავისუფლების მოპოება—ჩვენის აზრით, საქართველოს პარტხელმძღვანელობაზე, საქართველოს მთავრობაზე რაიმე გავლენის მოხდენა უნდა შესძლოს საქართველოს მოქალაქეებმა. რათა დეპუტატებმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე—დასვან საკითხი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის, ვსთქვათ, მე-16, მე-17, მე-18 ა, მე-18 ბ, 125-თე და სხვა მუხლების ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომლითაც საქართველოს, ქართველ ხალხს უფლება მიეცემა გახდეს ასე თუ ისე თავისი თავის ბატონ-პატრონი და, რაც მთავარია, უფლება ექნება გამოვიდეს საერთაშორისო ასპა-

რეზნე, როგორც მსოფლიოს ერთა თავისუფალი ოჯახის წევრი!

აი, ამ საკითხებს უნდა შეხებოდა საქართველოს პრესა, რადიო და ტელევიზია ნ დეკემბერს—კონსტიტუციის დღეს— და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ე. წ. «საბჭოთა კონსტიტუციის» მხოლოდ აბსტრაქტული ქება-დიდებათ.

კ. ინახარიძე.

## შ. ოსთაველის იუბილე პაკიზში

ქართველი ხალხის დღესასწაულს გენიალურ პოეტის შოთა ოსთაველის დაბადების 800 წლის თავზე, მხურვალეთ გამოცხმათრა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომელმაც მოაწყო საზეიმო სხდომა. სულიერ ტყვეობაში მყოფი ქართველობა,—საქართველოს უფლებებისთვის მებრძოლი კიდევ ერთხელ ეზიარა დიდი პოეტის დარიგებას:

ჭირსა შიგან ვაშაგრება.

ისე უნდა ვით ქვითკირსა.

..... ემიგრაციას, რომელსაც მოვალეობად აწევს საქვეყნოთ აღიაროს, რომ შოთას იდეები,—მის საკუთარ სამშობლოში განუხორციელებელია; მისი მოწოდება ადამიანის ღირსებისა და თავისუფლებისთვის შეუსმენელია, ადამიანის აზრი და ჯანება შებოჭვილია, მისი შემოქმედებითი აღმავლობა გზაჭრილია, ხალხთა თავისუფლების იდეა უგულებელყოფილია, ერის პიროვნება წაშლილია—ტყვეობილია, ძალადობის მსხვერპლია; ამიტომაც თავისუფალ ქართველთა მიერ გამართული იუბილე მოთხოვნაა—შოთას კუმანისტურ იდეათა განხორციელების, ქართველი ერის თავისუფლების აღდგენის...

დარბაზის სცენას, რომელიც მართული იყო ეროვნული დროშებით—თავს დაჰყურებდა შოთას ნათელი სახე.

მოკლევ. მოხდენილი სიტყვით მოსაგონარ სხდომას ხსნის ქართული სათვითომოს თავმჯდომარე ბ-ნი ლ. ზურაბიშვილი. მომღერალთა გუნდი ბ-ნი დ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით ასრულებს ეროვნულ ჰიმნებს: «დიდებას» და «მარსელიეზას»...

პირველ სიტყვას ამბობს დამოუკიდებელ საქართველოს განათლების ყ. მინისტრი ბ-ნი ნ. ცინცაძე. აკადემიურ სტილით წარმოდგენილ მოხსენებაში, ის აღნიშნავს პოეტის უკვდავ ქმნილების უდიდეს გავლენას ქართველი ერის ცხოვრებაზე, საუკუნეთა მანძილზე, რომ წინ მიუძღვის ქართველ ერს ბოროტების დასათრგუნავად, თავისუფლების დასაცავად. მისი სიტყვა ფრანგულ ენაზე გადათარგმნილი წაიკითხა პროფ. გ. შარაშიძემ.

ცნობილ რუსთველოლოგის, დაუღალავ მკვლევარის ვი-

ქტორ ნოზაძის მიმართვა რუსთაველს, დარჩება ისტორიაში არა მარტო როგორც წარუშლელი ხოტბა რუსთაველისა, არამედ ისტორიული მოძახილი შეუდრეკელ ბრძოლისა, — ქართველი ერი, რომ აწარმოებს რუსთაველის ბრძნულ ლოზუნგების ქვეშ ეროვნულ თავისუფლების აღსადგენათ...

ღრმა შთაბეჭდილებას სტოვეებს—ახალგაზრდა ნიჭიერ პრადტ. გიორგი შარაშიძის მიერ დალაგებით «ვეფხისტყაოსნის» შინაარსის გადმოცემა და მისი მოხდენილათ გარჩევა ფრანგულ ენაზე.

ბ-ნ ალ. შათირიშვილის მეცნიერული მოხსენება ფრანგულ ენაზე «ფსიქოლოგიური სინამდვილე ვეფხისტყაოსანში»... ამავ დროს—მისი მეუღლე კითხულობდა პოემიდან შესატყვის ადგილებს. მოხსენებამ მოახდინა ღრმა შთაბეჭდილება.

წაკითხულ იქნა დიდ მოაზროვნის და პოეტის გრ. რაბაქიძის «რუსთაველი—მხატვარი».

კრება სიაზოვნებით ისმენს ბ-ნ მ. ქავთარაძისგან წაკითხულ—ალ. მანველიშვილის მიერ გადმოგზავნილ მოხსენებას: «რუსთაველის სულიერი და პოლიტიკური დოქტრინა»...

ქ-ნ ქ. დადიანმა წაიკითხა პრ. შალვა ბერიძის მოხსენება: «რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა».

ხატვრულ განყოფილებაში ევტიხი აბუჯაძემ წაიკითხა ლექსები მიძღვნილი რუსთაველისადმი.

პოეტმა გ. ყიფიანმა წაიკითხა გ. გამყრელიძის ლექსი «პლანეტების სიმფონია»... რის შემდეგ გ. ყიფიანმა თავისებურ პოეტურ სტიქიით—წაიკითხა საკუთარი ლექსი «შოთა რუსთაველს».



ჩინებულად წაიკითხეს ლექსები რუსუდან და ნანო სტურუამ და გულნარა პატარიძემ.

გიორგი წერეთელმა ასიაზოვნა საზოგადოებას «ვ. ტ.»-დან რამოდენიმე სტროფის ზეპირი თქმით, შემდეგ მანვე წაიკითხა მშვენიერი საკუთარი ლექსი: «შენ მზიური ხარ»...

გულნარა და ოთარ პატარიძეებმა—როგორც ყოველთვის დიდათ ასიაზოვნეს საზოგადოება ჟანდურზე დამღერებით, დამღერეს ხალხური: «სიმღერა რუსთაველზე»...

ხალხური ცეკვებით დასრულდა სხდომა, შეასრულეს «დარბაზული», «ოსური» და «მთიულური»... დაიხსნენ.

**პარტიული კონფერენცია**

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის უცხოეთში არსებული გაერთიანებული ორგანიზაციების წევრთა კონფერენციამ, რომელიც შესდგა 1966 წლის 27 ნოემბერს, — დაანახვა მტერსა და მოყვარეს, სოც. დემ. პარტიის ძალებს

მტკიცე გადაწყვეტილება თავისი ნაცადი, მრავალ ბრძოლებში მიღებული გამოცდილებით, გააგრძელოს ქართველი ერის სამსახური, რომელიც პარტიამ დაიწყო ჯერ კიდევ 75 წლის წინად, როცა ააფრიალა ეროვნული და სოციალური თავისუფლების დროშა. დარაზმა, ფართო მასსები. აამუშავა საზოგადოებრივი აზრი, აღზარდა ერი, — მისალოდნელ დროსთვის, როცა შესაძლებელი გახდება, ერის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად აღადგინა ქართველი ერის სუვერენობა, გამოჰყედა დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანიზმი. დღეს, როცა უცხო ძალა მეფობს ჩვენს ქვეყანაში. დაქორავებული «ისტორიკოსები» თხზავენ მრავალ საბუთებს, ამახინჯებენ ჩვენი პარტიის წარსულს და მით ცდილობენ ახალ თაობათ ჩაუნერგონ ჩვენი პარტიის სიძულვილი, დაფარონ მოსკოვში მოწყობილი შეთქმულება, შულავერის გმირთა ნამოქმედარი, მათ მიერ რუსის ჯარების შემწეობით ეროვნული თავისუფლების აპკვეთა.

პოლიტიკურ ემიგრაციაზე და კერძოთ ჩვენზე თავდასხმებს, — ჩვენმა ორგანიზაციებმა უცხოეთში უპასუხეს გაერთიანებით, მთლიანობით, სადაო კითხვების ამოწურვით და ერთ მთლიან ხელმძღვანელ ორგანოს შექმნით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ორგანიზაციები შემდეგი ადგილებიდან: პარიზი, მიუნხენი, ამერიკა, სოშო, ლიონი, სპარსეთი. ამხ. ლ. ფალავა აცნობს კონფერენციას ადგილებიდან მიღებულ წერილებს, რომლებიც ესალმებიან კონფერენციას და უსურვებენ მას ნაყოფიერ მუშაობას. კონფერენციას ხსნის ამხ. გ. ურაძე, უსურვებს კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას, იგონებს გარდაცვლილ ამხანაგებს — სთხოვს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ მათ ხსოვნას, რაც შესრულებული იქნა.

დილის სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. ლ. ჟღენტი, მდივანობს ამხ. გ. გრიგოლაშვილი.

კონფერენციას მხურვალე სიტყვით ესალმება სოც.-ფედერალისტთა პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს თავმჯდომარე ნ. ურუშაძე, ჩვენი მეგობარი, მოძმე პარტიის სახელით — უსურვებს კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას. აღნიშნავს ჩვენი პარტიის დამსახურებას წარსულში — ეროვნული თავისუფლების აღსადგენათ და დღევანდელ ბრძოლას კვლავ მის დასაბრუნებლად.

რის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე ცინცაძე შემდეგ თემაზე: «ჩვენი დრო და ქართული პრობლემა». მომხსენებელი ვრცლად ეხება საერთაშორისო მდგომარეობას და მასთან დაკავშირებით ქართულ პრობლემას. (მომხსენების შინაარსი დაიბეჭდება მომავალ ნომერში).

მეორე მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. სარჯველაძე: «ს.-დემ. პარტიის მიმდინარე ამოცანები». მომხსენებელი უმთავრესად ეხება საბუთთა რუსეთში სოციალურ ეკონომიურ ძვრებს

და აქედან გამოჰყავს ზოგიერთი დასკვნები და პერსპექტივები, აყენებს რამოდენიმე მუხლისგან შემდგარ სამოქმედო გეგმას მომავლისთვის.

მოსმენილ იქნა ფართე მომართვა პარტიის ძველ, დაძახურებულ მოღვაწისგან ანტონ ჟორჯოლიანისგან.

კონფერენციამ კმაყოფილებით მოისმინა, ცნობილ მხედრის და ჟურნალისტის ვანო ნანუაშვილის მისაღმება, სადაც იგი უსურვებს ჩვენს პარტიას ნაყოფიერ მუშაობას ქართულ საქმის საკეთილდღეოდ.

დილის სხდომა იხურება ამხ. ინა ჟორდანიათა სიტყვით.

ნაშუადღევის სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. ი. სალუქვაძე. მდივნობს ამხ. გრ. წერეთელი.

იხსნება ფართე კამათი ორივე მოხსენების გარშემო, რომელშიც მონაწილეობას იღებენ: ლ. ქლენტი, ნ. ორაგველიძე, ვ. წულაძე, ვ. ჩუბინიძე, სიმონ კეკელიძე, გრ. წერეთელი, მ. ბერიშვილი, ლ. ფალავა, გერ. ბოლქვაძე, გ. გრიგოლაშვილი, ილ. სალუქვაძე. ყველანი ეხებიან ორივე მოხსენების შინაარსს, კმაყოფილებას გამოთქვამენ პარტიული რიგების გამთლებით და ითვისწინებენ მომავალ მუშაობას... ამხ. ვ. ჩუბინიძე თავის სიტყვაში ამცნობს კონფერენციას, რომ მისი თაოსნობით—დილით შემკულ იქნა ცოცხალი ყვავილებით ნოე ჟორდანიათა საფლავი.

მომხსენებლები უპასუხებენ შეკითხვებზე.

კონფერენცია იწონებს მოხსენებებში გამოთქმულ დებულებებს და ლებულობს სახელმძღვანელო დადგენილებებს.

დასასრულ არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ბიურო და საკონტროლო კომისია.

გ. ყიფიანი:

ლექსები 1965 წ.

ჩრდილოეთმა დამსეტყვა,  
ქარში გადავიკარგე.

ჩრდილოეთის სუსხით დასეტყვილი, ახალგაზრდული გულის ლეღვა ცივ-უცხოეთის სულიერ ტყვეობაში ჩაგარდნილი, ძალადობით-მიტოვებულ სამშობლოს სიყვარულით აღზნებული ფართეთ შლის, ღვთიურ ნიჭით ბოძებულ შემოქმედების ფრთებს... მის პოეზიაში ღრმად ჩაქსოვილია უბუკურ წლებიდან გამოყოფილი მწარე და ტკბილი მოგონებანი და ოცნებები...

თითველ ლექსის ჩანაფიქრი,—სამშობლოს ტრადიკულ წუთების, თუ მისი დიდების, თუ მისი თავისუფლების მოტივებით არის გარემოცული. გ. ყიფიანის შემოქმედების ნაყოფში ხშირად კენესა ისმის სევდიანი, მომღურავი, მაგრამ სევდაც ხომ ადამიანურია, შეუძლებელია სამშობლოდან მო-

წყვეტილი ქართველის გულში სევდა-კაეშანმა არ გაიღვოს, წუთიყად არ შეიპყროს შისი არსება, მაშასადამე ეს სულიერი მოკლენა რეალურია და პოეტიც როგორც ადამიანის სულიერ სამყაროს შემცნობი მას სიტყვა-კაზმულ ოღით ხატავს. მებრძოლ პოეტის სევდიანი მოტივები—ეროვნულ ტრადიციასთან განპიროვნებული—სრულებით არ ვარდება სასოწარკვეთილებაში. ის უმღერის მარადიულ სამშობლს ოს:

«გიმღერ და გეტრფი ვით პოეტი  
შენი დიდების».

მის გააზრებაში ცოცხლდება სამშობლოს წარმატცი და მდიდარი ბუნება და განა ბუნებრივი არაა, რომ ამ დროს მისთვის სათაყვანებელ ადგილებს და გარემოს პათეტიურად შესძახოს:

«ჩრდილოს ჩრდილები ისე გაწუხებს,  
როგორც სულთანის მძიმე უღელი».

პოეტი ინტიმიურ, სულიერ კავშირშია თავის ქვეყანასთან; სულ შეხუთული, მისი გული დასერილია ეროვნულ თავისუფლების დაკარგვით, დედა-ქალაქის მომავალი ბედით, მწარეთ დაიკვნესებს:

«ყელზე გეხვევა საუკუნე გველის პერანგით,  
და შხამს გიმზადებს ჩრდილოეთის წითელი მოდგმა».

უცხოეთის შავ-ბნელ დღეებში პოეტის თვალწინ იხსრება ქართველი ერის მესაიდუმლის—მებრძოლ პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას საფლავი. პოეტმა ორ სიტყვაში ჩააქსოვა ღრმა შინაარსი და მით მკითხველი ჩააფიქრა.

«აქ განისვენებს ჯალარა მკთალი  
საქმე მართალი და ისტორია»...

შან შეაერთა პრეზიდენტის სახელთან საქართველოს დიდ მოქირანახულეთა ხსოვნა და მათი სახით აღმართა ერთი მთლიანი დროშა:

«ხოლომონ მეფე, თეიმურაზი,  
დღეს დიდ ნოეს ჯალარა სახე,  
ჯვარზე გაკრული კოტე აფხაზი  
ტყვიით უკვდავი ილიას სახე».

პოეტს სწამს სიმართლის გამარჯვება, სამშობლოს თავისუფლების აღდგენა, მგრძნებარე ფათოსით ომბიანი ხმით შესძახებს 26 მაისს:

«გულს ნუ გაიტეხ ამ გრიგალში  
ნუ დაღონდები,  
დროშა ქართლისა არ ყოფილა ჯერ  
ხომ დახრილი,  
გადაეცემა გამარჯვების აღმაშენებელს».

გ. ყიფიანი ბრძოლის პოეტია, ტრადიციული მოვლენათა ასახვით იმედის უუქს რომ აფრქვევს:

«დრო გადავიღოს ცუცხლის ნაბიჯით  
ისევ შევხვდები დღეებს დარიანს».

გივი ყიფიანს პოეტ-მამამ თავის ანდერძში, ღრმა დრამატიული სუნთქვით განასახიერა, ჩვენი ერის სხეულიდან მოგლეჯილ პატრიოტთა მძიმე მღელვარება, რაც დარჩება განუწყვეტლივ სურვილთა მხატვრულ აპოთეოზად—ვითარცა ქართული სულის მისწრაფების ჩაუქრობელი ჩორადნანი. პოეტს ეხერხება ლაკონიურ თქმაში ღრმა გააზრების გამოთქმა, საიდანაც მოსჩანს მისი პოეტური კულტურის სიმძლვე. პოეტის შემოქმედების გზა ეკლიანია, დრამატიული მოვლენებით მოფენილი—ჩვენი ეროვნული ტრადედიის ხვედრით—შთაგონებული. ამ გზაზე მისი ძირ-მაგარი პოეზიის საყვირი შემოქმედების დინამიური გაშლით—ჯერ კიდევ ბევრს მოგეცემს.

ამირანი.

### აკაკი კვიციანიშვილის ხსოვნას.

ღრმა გულისტკივილით დავსტირით, ჩვენი კარგი და უზადო თანამებრძოლის აკაკი კვიციანიშვილის დაკარგვას. ამ მორიგი გლოვის გარშემო, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, ქართული ეროვნული ტრადედია, დევნილების პიროვნული ტანჯვა-წამება, და თვალ ცრემლიანი გამოვეთხოვოთ საყვარელ მეგობარს. ჩვენ, კარგათ ვიცოდით, რომ განსვენებული ვერ შეურიგდა პარიზის მიდამოების დატოვებას, ქართველობის და მეგობრების მოშორებას, ხოლო მისთვის ყოველმხრივ აუტანელი იყო, უსულლო და უგულლო მოხუცთა თავშესაფარი.

დევნილი თანამემამულეების დიდი ტრადედია ორნაირია, ორივე მძიმე და აუტანელი. ქართველი ვერ იტანს უცხოეთში იძულებით გახიზვნას, და ვერ ურიგდება საკუთარი ოჯახის დაკარგვას, ცოლ-შვილის მოშორებას.

ამ ორმა უბედურებამ და ჩვენი ერის უბედო ბედმა, აკაკის სიკვდილი დააჩქარეს. განსაკუთრებით, გულსმომკვლელია, რომ ჩვენი მეგობარი ვერ მოესწრო, მისი საყვარელი ვაჟის ნახვას, რომელსაც განსვენებული ყოველ დღე ელოდა.

აკაკი კვიციანიშვილის ცხოვრების აღნიშვნა, ეს მეოცე საუკუნის საქართველოს უბედურების ისტორია იქნებოდა, საუბედუროთ ადგილი ამის ნებას არ გვაძლევს, ვიტყვიტ მხოლოდ. განსვენებული ეკუთვნოდა ისეთი ქართველობის მოდგმას, რომ ლეგმატ. ჩვენი ქვეყანა დღევანდლამდის გადაარჩინა, მართალია, ბევრი მსხვერპლით და ტანჯვით, მაგრამ ისტორიულ შარა-გზაზე მაინც ცოცხლები მოვედით, და მთავარი ეს არის.

განსვენებული სამხედრო ფომაციის იყო, და როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ამ აღგზნე-

ბულმა პატრიოტმა. ყველა ბრძოლებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, როგორც ერთმა მედროშემ.

ვაი, რომ ხანმოკლე გამოდგა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, რომლის დაკარგვას მოჰყვა კალმით აუწერელი ხალხის ტანჯვა-წამება. აკაკის, არასოდეს დაპყრობილი ქვეყნის ბედი საბოლოოთ არ ჩაუთვლია, ხოლო, მოსაპოვებელი თავისუფლებისათვის მიცემულ ბრძოლებში, ყოველთვის პირველ რიგებში იყო, და არაერთხელ სიკვდილისათვის პირდაპირ შეუხედნია როგორც მრავალი ჩვენთაგანი, ის გადარჩა შემთხვევით.

აკაკი კვიციანიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ჩამოყალიბებაში.

განსვენებულმა კარგათ იცოდა, თუ, რა დიდი ადგილი უჭირავს ერის ცხოვრებაში სამხედრო ძალას, მაგრამ მან ისიც ზედმიწევნით იცოდა, რომ, ქვეყნის აყვავება-განვითარებას სჭირდება წინდახედულებით და კულტურით დატვირთული პოლიტიკური მიმდინარეობები...

ჩვენმა მეგობარმა, ქართველი ერის მოჭირანახულეთ და სამართლიანათ, დაინახა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის რიგებს და ბრძოლებს, მან შესწირა, მისი საუკეთესო ღონე და ძალა, ნიჭი და უნარი. პარტიამ ხომ კარგათ იცის, რომ ჩვენ წამებულ ქვეყანას, მხოლოდ ღრმა რწმენის და თავდადების მებრძოლები სჭირია. ასეთი იყო აკაკი, ვაი რომ ჩვენ პირობებში, არ ძალგვიძს შვეთავაზოთ მებრძოლს, გარდა ჩვენი მაღლობისა, და გულწრფელი გრძნობები სინანულითა.

ადამიანურ ფონზე, განსვენებული იყო დიდად მგრძობიარე, სანდო მეგობარი. ჭირში და ღვინში გამტანი, ფრიად თავმდაბალი, გონება დამდგარი და ცხოვრების ღრმათ-მცოდნე. მას უყვარდა ახალგაზრდობა, იყო თანამომქმე ავადმყოფების თუ გაჭირვებულთა, ამიტომ მოხდა, რომ აკაკიმ დაიმსახურა ყველას სიყვარული და პატივისცემა.

დევნილობაში, მასთან გავატარეთ ათეული წლები, მწარე მოგონებებით აღსავსე, მხოლოდ სიკვდილმა გაგვაშორა.

საუბედუროთ, ჩვენი რიგები უღმობლათ დნება, მაგრამ, საბოლოო გამარჯვების რწმენა ურყევი გვრჩება, და განსვენებულმა ამ გამარჯვების რწმენით დასტოვა ეს ქვეყანა.

ხოლო, მისმა მეგობრებმა, ბ-ნმა პოლკოვნიკმა ნ. თხახაძემ ქართველი მხედრების სახელით, პ. სარჯველაძემ კი პარტიული მეგობრების სახელით, აღელვებით აღნიშნეს კ. კვიციანიშვილის ადამიანობა, საზოგადოებრივი შემოქმედება, და გულთბილი სიტყვებით დაიტრეს თანამებრძოლი.

სევდიანი, და თვალცრემლიანი იყო მრავალრიცხოვანი ქართული საზოგადოება, რომელმაც ლევილის ძმათა სასაფლაოს მიაბარა მისი თანამომქმე 5 ნოემბერს 1966 წელს.

გ. წერეთელი.

## ხმა გამცემლისა!..

(გაკვრით)

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე თავდასხმა მარტო ლომაშვილის საკუთრებას არ წარმოადგენს, რაც იგი არსებობს და იბრძვის მის გაბახებას და გაწბილებას ცდილობენ მოსკოვის ერთგულნი,—ამ უკანასკნელ ხანებში ამათ რიცხვს მიემატა კარგად ცნობილი ს. ქავთარაძე, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ თუ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი უცხოეთიდან საშრობლოში არ დაბრუნდნენ—ეს მხოლოდ პირადი მოტივებით, კერძოთ ნ. ჟორდანიას სრულიად იარაღი დაუყრია, ეროვნული ხელმძღვანელობა მიუტოვებია,—კიდევ მეტი, ბოლშევიკური სიტყვა და საქმე გაუმართლებია (იხ. «მნათობი»). ნ. ჟორდანიას სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ბრძოლის დროსა ხელიდან არ გაუვდია. ომის შემდეგ მისი დასტურით დაარსდა ეროვნული საბჭო, განაახლა ს.-დ. ბიუროს მუშაობა. გადაცემულ იქნა მემორანდუმი და სხვ.

ს. ქავთარაძის მოყოლილ ამბავში ისაა მართალი, რომ ნ. ჟორდანია მართლაც ღარიბულად ცხოვრობდა, უანგაროთ შრომობდა და მხოლოდ საქართველოს უფლების დაცვაზე ფიქრობდა. მის დასაცავად იბრძოდა; ამით უარყოფილია ის საზიზღარი ცილისწამება, რასაც მაშინდელი კომუნისტური პრესა ავრცელებდა და ნ. ჟორდანიას დასავლეთის იმპერიალიზმის სამსახურში ჩადგომას სწამებდა. შეიძლება ფიქრობს ს. ქავთარაძე რომ ქართველი ხალხი ივიწყებს მახარაძე-ორჯონიკიძის,—ტირან სტალინის მოსკოვის იმპერიალიზმის სამსახურში ჩადგომას და კერძოთ მისი რუსეთის ელჩად გახდომას თბილისში და ჯაშუშების თავშესაფარის გახსნას...

რადგან ს. ქავთარაძეს მოგონებების წერა დაუწყია შეიძლება ისიც მოუთხროს ახალთაობას, თუ ვინ იყო ის პირი, რომელმაც «ჩეკაში» დამწყვედეულმა თავისუფლება მოიპოვა,—ახლო ამხანაგების იქ ჩატოვებით (რომლებიც იქნენ დახვრეტილნი) და მაშინდელ საოკუპაციო მთავრობიდან ქებადიდება დაიმსახურა...

ნ. ჟორდანიასთვის არავის უკადრებია კრებაზე ის, რასაც ს. ქ—ძე ჩმახავს, ეს ალბად ან მისი ავადმყოფ ფანტაზიის ნაყოფია, ან ვინმე სულით მდაბალ ინფორმატორის მისდამი გადაცემული ცნობა. ყოველ შემთხვევაში ნ. ჟორდანიას სპეტაკ პიროვნებას ჩრდილს ვერ შიაცენებს რუსეთის ჯარების საქართველოში შემომყვანთაგანი.—ამოა ცდაა.

X.

შალვა აბდუშელი.

კვირას, 12 თებერვალს, ქართულ ეკლესიაში, დეკანოზ მამა ილიას მიერ გადახდილი იქნა პანაშვიდი შალვა აბდუშელის გარდაცვალების წლის თავზე.

პანაშვიდს დაესწრო მრავალი ქართველობა.

გალობდა ქართული გუნდი ბ-ნ დ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით.

«გ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი»

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის თავს ეძღვნება უკანასკნელი ნომერი «კავკასიონი».

მძიმე, ემიგრანტულ პირობებში ასეთი გაფორმების და შინაარსის ეურნალის გამოცემა—კიდევ ერთი მიღწევაა—ჩვენი ცნობილი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის.

შიგ მოთავსებულია—როგორც მისი ფართე გამოკვლევა—ისე სხვა მკვლევართა და პოეტთა მიერ ნაშრომი მიძღვნილი დიდი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად.

შობის დღე.

გასულ წელს—შობის დღე—ბავშვებისთვის მოეწყო პარიზის ერთ-ერთ დარბაზში. დამსწრე საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა მცირეწლოვან ბავშვების ლექსები და სიმღერები, რის შემდეგ მათ დაურთვეს საჩუქრები.

---

მზადდება დასაბუქდათ და ახლო ხანში

გამოვა წიგნი,

პ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ი ს

«**მ ძ ტ მ მ ბ რ ი ს ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ე ი**»

(საბჭოთა საზოგადოებრივი ძვრები და `ერსპექტივები`)

---

«ჩვენი დროშის» გამომწერა შეიძლება შემდეგ მოხამართნე:

**M-r Berichvili**

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

91 Montlhery, France.

Gerant: Michel Stouroua.

---

Imprimerie Coopérative Arpajonaise. Arpajon.